



MES 3 20 0001240423



30/12/2020

**პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის  
განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს  
სხდომის ოქმი**

**ქ. თბილისი**

ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2020 წლის 24 დეკემბერს**.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Join Zoom Meeting

<https://us02web.zoom.us/j/86997358175?pwd=bjJXMkIzN2hIb2xua1laaEJwaDJVZz09>

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდნენ:

**პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:**

**მარიამ ქუჩულორია** - ა(ა)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე (საბჭოს თავმჯდომარე);

**გიორგი გამყრელიძე** - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);

**ნატო მეტურიშვილი** - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);

**თორნიკე ჯობავა** - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს „ინტერნეტი განვითარებისთვის“ პროგრამის კოორდინატორი (საბჭოს წევრი);

**ნიკოლოზ მესხიშვილი** - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);

**ნათია კვიციანი** - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) პროგრამების ადგილობრივი ექსპერტი (საბჭოს წევრი);

**ქრისტინე მეფარიშვილი** - სსიპ-აწარმოე საქართველოში ინვესტიციების დეპარტამენტის უფროსი (საბჭოს წევრი);

**თამაზ ბახტაძე** - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის პროფესიული განათლების სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);

**თორნიკე ჯობაძე** - ა(ა)იპ - საქართველოს საინფორმაციო ტექნოლოგიების ასოციაციის პრეზიდენტი - საბჭოს წევრი.

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

**ნანი დალაქიშვილი** პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

**ქეთევან ციხისელი** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

**ლანა გაჩეჩილაძე** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

**ნინო სტეფანიშვილი** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

**მაყვალა დარსანია** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

**მაია აბდალაძე** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

**დაწესებულების წარმომადგენლები:**

**ა(ა)იპ - პროფესიული მომზადების და გადამზადების ცენტრი „ფერმერთა სკოლა“:**

ლალი ალფაიძე - დირექტორი,

ელენე მალლაკელიძე - პროგრამის განმახორციელებელი პირი

**შპს „ევროპის ბიზნეს სკოლა და კონსალტინგი“:**

გიორგი კუჭუხიძე - დირექტორი,

ია ერადე - პარტნიორი ორგანიზაციის, შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ს დირექტორი

**ა(ა)იპ კრაფტ დრინქს სქულ რირავო:**

გიორგი თევზაძე - დირექტორი

**პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტები:**

თამარ ზარანდია,

მაკო ჯაოშვილი,

თეა მახათელაშვილი

საბჭოს სხდომა დაიწყო 16:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131

დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.

რადგან სხდომას არ ესწრებოდა საბჭოს მდივანი, საბჭოს თავმჯდომარემ ამ ფუნქციის შესრულება დაავალა საბჭოს წევრს, გიორგი გამყრელიძეს, რომელმაც თანხმობა განაცხადა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო **სხდომის დღის წესრიგი**:

1. ა(ა)იპ პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრ ფერმერთა სკოლისთვის - „ჟოლოსა და უეკლო მაყვლის წარმოების“ /00942/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

წარმდგენი: თამარ ზარანდია, მაყვალა დარსანია

2. შპს „ევროპის ბიზნეს სკოლა და კონსალტინგისთვის“ - „მარკეტინგისა და გაყიდვების სპეციალისტი - მარკეტერის“ /00847/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

წარმდგენი: მაკო ჯაოშვილი, მაყვალა დარსანია

3. ა(ა)იპ კრაფტ დრინქს სქულ რირავოსთვის - „ხელნაკეთი ალკოჰოლური სასმელების წარმოების“ /00829/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

წარმდგენი: თეა მახათელაშვილი, ლანა გაჩეჩილაძე

**1. ა(ა)იპ პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრ ფერმერთა სკოლისთვის - „ჟოლოსა და უეკლო მაყვლის წარმოების“ /00942/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

დასკვნის პრეზენტაცია საბჭოზე წარადგინა ექსპერტმა თამარ ზარანდიამ. მან აღნიშნა, რომ ჟოლოსა და უეკლო მაყვლის წარმოება არის პროფესიული მომზადების პროგრამა, ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს დონე-მესამე, პროგრამის ხანგრძლივობა - 12 კვირა, სწავლების დონე - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა ჯგუფში - 30.

ექსპერტმა ისაუბრა პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებაზე. შემუშავების საფუძველი იყო შრომის ბაზარზე აქტუალობა, ასევე ფერმერთა სკოლამ აგრო-სერვის კონსალტინგთან თანამშრომლობით განახორციელა საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამის (UNDP)- „პროფესიული განათლებისა და ტრენინგების მოდერნიზაცია საქართველოში/სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სისტემა“ ფარგლებში (კენკროვანი უეკლო მაყვალი, ჟოლოს კულტურების

წარმოება). ფერმერთა სკოლამ მიიღო მონაწილეობა ზემოთ აღნიშნული პროფესიული მომზადების სასწავლო პროგრამის ადაპტირებაში და დანერგვაში, რაც მათი აზრით პროგრამის შექმნის საფუძველი გახდა. პროგრამის სახელწოდება გამომდინარეობს პროგრამის შედეგებიდან და პროგრამის თემატიკიდან.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროფესიული მომზადების პროგრამაზე დაშვების წინაპირობა საბაზო განათლებაა. აღნიშნული წინაპირობა სწავლის შედეგების ადეკვატურია. პროგრამა დაგეგმილია 12 კვირიან სწავლებაზე, კვირაში საათების რაოდენობა - 6 სთ. დაშვების წინაპირობის გათვალისწინებით, სწავლის შედეგების მიღწევა აღნიშნულ ვადაში შესაძლებელია, 1.4 ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია.

1.5 ქვესტანდარტიც დაკმაყოფილებულია. პროფესიული მომზადების პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3 დონეს. პროგრამა მსმენელს აძლევს საქმიანობის სფეროს შესაბამის თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ უნარებს. პროგრამის დასრულების შემდეგ, მსმენელს შეუძლია პროფესიასთან დაკავშირებული კონკრეტული დავალების შესრულებაზე პასუხისმგებლობის აღება, პროგნოზირებად, ნაწილობრივ ცვალებად გარემოში დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხით კონკრეტული დავალების შესრულება, ერთგვაროვანი პრობლემების გადაჭრა ძირითადი მეთოდების, მასალების, ინსტრუმენტებისა და ინფორმაციის გამოყენებით.

1.6 ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია, კერძოდ, პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით. პროფესიული მომზადების პროგრამაში წარმოდგენილია ოთხი სწავლის შედეგი:

1. უეკლო მაყვლის და ჟოლოს კულტურების ბიოლოგიური და საწარმოო თავისებურებების დახასიათება და ჯიშების აღწერა;
2. უეკლო მაყვლისა და ჟოლოს ბადის გასაშენებლად ნაკვეთის მომზადება. უეკლო მაყვლისა და ჟოლოს ბადის გაშენება;
3. უეკლო მაყვლისა და ჟოლოს ბადის მოვლა;
4. უეკლო მაყვლისა და ჟოლოს ბადში მავნებელ-დაავადებებისა და სარეველების კონტროლი, სტრესული ფაქტორების მართვა.

სწავლის შედეგების მეტი წილი ეთმობა პრაქტიკულ კომპონენტს.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ხარვეზები დასკვნაში არ დაფიქსირებულა. დაწესებულებას მიეცა **რეკომენდაცია**, რომპრაქტიკის ობიექტთან მემორანდუმთან ერთად ხელშეკრულებები დადებულიყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პრაქტიკის ობიექტის ხელშეკრულებები უზრუნველყოფილია და გამოგზავნილია ცენტრში.

ნანი დალაქიშვილმა კომენტარი გააკეთა, მან თქვა, რომ როგორც დასკვნიდან ამოიკითხა, რომ ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაცია ასეთია, არსებობს მემორანდუმი და მემორანდუმის შემდეგ, სწავლის დაწყების შემდეგ, გაფორმდეს ხელშეკრულებაო. საბჭოს წევრებს უფლება აქვთ, მოითხოვონ დოკუმენტი, რომ დარწმუნდნენ. თუმცა ცენტრის მიდომა ასეთია, თუ არსებობს მემორანდუმი, სწავლის დაწყების წინ ხელშეკრულების გაფორმება სავსებით შესაძლებელია. ამდენად, ეს ამ წუთისთვის შეიძლება არც იყოს ხელშეკრულება, თუმცა, როგორც ქალბატონი ლალი ამბობს, მათ აქვთ უკვე ეს ხელშეკრულებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოზე გააზიარა ხელშეკრულებები, კერძოდ, ოთხი ხელშეკრულება.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, პრაქტიკის ობიექტზე თუ არის სტუდენტების დასაქმების შესაძლებლობა. ექსპერტმა უპასუხა, რომ მომავალში ნამდვილად არის დასაქმების საშუალება,

მაგრამ მისთვის, როგორც ექსპერტისთვის, საინტერესოა ის, რომ თვითონაც აქვს დაწესებულებას ნაკვეთი, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ დაგეგმონ ბაღი, რაც იდეალური საშუალებაა მსმენელებისთვის, რომ პირველად წარმოებას სრულფასოვნად დაეუფლონ.

დაწესებულებას აქვს საგანმანათლებლო საქმიანობის გამოცდილება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ჰყავს კვალიფიციური განმახორციელებელი პირები, რათა სწორად წარიმართოს სწავლის პროცესი. ძალიან კომპეტენტურები არიან, რაც ინტერვიუდანაც გამოჩნდა. განმახორციელებლებს აქვთ ძალიან კარგი პრაქტიკული გამოცდილება, რაც დადებითად აისახება პროგრამის განხორციელებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს. ლალი ალფაიძემ, დაწესებულების დირექტორმა, აღნიშნა, რომ მისი აზრით, სრულყოფილი პროგრამა წარმოდგინეს და ყოველ დონეს იხმარენ, რომ იმედეები არ გააცრუონ და შეასრულონ პროგრამა ისე, როგორც წესი და რიგია.

საბჭოს წევრმა ნიკოლოზ მესხიშვილმა თქვა, რომ ძალიან საინტერესო და სასარგებლო პროგრამაა ქვეყნისთვის და რომ განსაკუთრებით გულშემატკვირობს აგრარულ მიმართულებას და მისი კითხვა მდგომარეობდა პროგრამის დონესთან დაკავშირებით. მან თქვა, რომ მეხილეობის სადიპლომო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მეოთხე დონით ხორციელდება და რამ განაპირობა, რომ ეს პროგრამა მესამე დონეა, რადგან მეხილეობის პროგრამა გარკვეულწილად ითავსებს ჟოლოს და კენკროვანი კულტურების წარმოების პროცესს. დაინტერესდა რატომ არ იყო რეკომენდაცია დასკვნაში, პროგრამა მეოთხე დონით განხორციელებულიყო, რაზედაც ექსპერტის პასუხი იყო, რომ პროგრამის განხორციელების შინაარსი მესამე დონეს შეესაბამებოდა.

ლანა გაჩეჩილაძემ დააზუსტა, რომ ცენტრს აქვს დონის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომლითაც ხელმძღვანელობენ. მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია კრიტერიუმები დონეების მიხედვით და წარმოდგენილი პროგრამა შეესაბამება მესამე დონეს. სწორედ ამიტომ არ იქნა ცენტრის მხრიდან დონე შეცვლილი.

ცენტრის წარმომადგენელმა, რომელიც წარმოებაში იყო ჩართული, მაყვალა დარსანიამ აღნიშნა, რომ რაც შეეხება პროგრამის მეორე და მესამე სტანდარტის დოკუმენტაციას წესრიგშია, მსმენელების მიღების წესი, აპლიკანტების გასაუბრების საკითხი, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, ეს დოკუმენტები ყველაფერი წარმოდგენილი ჰქონდა დაწესებულებას.

ნიკოლოზ მესხიშვილი დაინტერესდა, ზოგადად პანდემიასთან დაკავშირებით, იმ შემთხვევაში, თუ მომავალში გაგრძელდა შეზღუდვა, თუ იგეგმება ცვლილებები პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით. ექსპერტმა უპასუხა, რომ ფიქრობს, აგრარულ დარგს დისტანციური სწავლება არ უნდა შეეხოს, რადგან საკითხებია, რომლებიც ღია სივრცეში, ნაკვეთზე უნდა გაკეთდეს.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ თეორიული ნაწილის ჩატარება დისტანციურად შეიძლება, ისინი ახლაც ახორციელებენ თეორიული ნაწილის დისტანციურად სწავლებას მეხილეობის პროგრამაში. თეორიული ნაწილის დისტანციურად სწავლება ნამდვილად შესაძლებელია.

ნიკოლოზ მესხიშვილი დაინტერესდა, რადგან ტრანსპორტის მოძრაობა შეზღუდულია, ამ კუთხით რას სთავაზობს დაწესებულება მსმენელებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათ სპეციალურად აქვთ გამოყოფილი ტრანსპორტი და ამ ტრანსპორტით გადაჰყავთ მსმენელები ნაკვეთამდე და უკან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრ ფერმერთა სკოლისთვის - „ჟოლოსა და უეკლო მაყვლის წარმოების“ /00942/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე: 9**

**წინააღმდეგი: 0**

**გადაწყვეტილება:**

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად,

ა(ა)იპ პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრ ფერმერთა სკოლას (ს/კ: 438111106) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - „ჟოლოსა და უეკლო მაყვლის წარმოება“ /00942 (დანართი 1).

**2. შპს „ევროპის ბიზნეს სკოლა და კონსალტინგისთვის“ - „მარკეტინგისა და გაყიდვების სპეციალისტი - მარკეტერის“ /00847/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

დარგის ექსპერტმა, მაკო ჯაოშვილმა საბჭოს თავმჯდომარის თხოვნით, ისაუბრა საკვანძო მომენტებზე, რაც იყო რეკომენდაციები, გამოსწორების შესახებ. კერძოდ, დაშვების წინაპირობად განისაზღვრა სრული ზოგადი განათლება და საქონლის/მომსახურების გაყიდვის პროცესში მონაწილედ მუშაობის არანაკლებ ექვსი თვის სამუშაო გამოცდილება. ამ მიმართულებით ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია და სრულად არის გათვალისწინებული, როგორც ექსპერტთა რეკომენდაცია, ასევე საბჭოს წევრების მიერ გამოხატული მოსაზრება ამასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება ქვესტანდარტ 1.8-ს, მითითება იყო სწავლის შედეგებთან დაკავშირებით. განახლებულ პროგრამაში სწავლის შედეგების, თემატიკისა და სასწავლო აქტივობების შესაბამისად დაკონკრეტდა სწავლის მეთოდები: ლექცია დემონსტრირებით; დისკუსია; შემთხვევის ანალიზი; პროექტებით სწავლება. ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია.

რაც შეეხება 1.10 ქვესტანდარტს, მსმენელის შეფასების სისტემა უზუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, ობიექტურ დადასტურებას, პროგრამაში განხორციელებულ ცვლილებათა გათვალისწინებით, მიზანშეწონილად განისაზღვრა ყველა სწავლის შედეგის კომპლექსური შეფასება - პრაქტიკული ნაწილი მსმენელთა მიერ წარმოდგენილი პროექტით, ხოლო თეორიული კომპონენტი- ტესტირებით, შესაბამისად, ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია.

მეორე სტანდარტი არ შემოწმებულა, ყველა ქვესტანდარტი დაკმაყოფილებული იყო. დაემატა მხოლოდ ხელშეკრულებები პროგრამის განმახორციელებლებთან. მოხდა ხელშეკრულებების გამოთხოვა, დასტურდება, რომ პროგრამით გათვალისწინებული ადამიანური რესურსი თავისი კვალიფიკაციით, აკმაყოფილებს არსებულ მოთხოვნებს.

საბოლოო ჯამში, დასკვნის სახით აღნიშნა ექსპერტმა, რომ ყველა რეკომენდაცია გათვალისწინებულია. დაკორექტირდა პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლის შედეგები, პროგრამის მიზნები, დასაქმების მიმართულებები; დაზუსტდა თემატიკა, რაც სრულად შეესაბამება ხედვასა და მიზნებს. ყველა რეკომენდაცია დაკმაყოფილებულია, რაც ასახული იყო ექსპერტთა დასკვნასა და პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2020 წლის 5 ნოემბრის სხდომის N 1070864 ოქმში.

საბჭოს თავმჯდომარემ დააფიქსირა, რომ ყველა ხარვეზი, რეკომენდაცია, რისთვისაც ვადა მიეცა დაწესებულებას გამოსწორებულია და თუ სურს დაწესებულებას რამე დაამატოს, მოუსმენდნენ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი კუჭუხიძემ, პირველ რიგში მადლობა გადაუხადა საბჭოს პროგრამის ცვლილების შესაძლებლობისთვის. მან აგრეთვე მადლობა გადაუხადა პარტნიორი ორგანიზაციის (შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ს) ხელმძღვანელს, რადგან მათ გარეშე მისი ინტეგრირება არაფორმალური განათლებიდან ფორმალურში წარმოუდგენელი იქნებოდა, რადგან ამ მხრივ გამოცდილება ნამდვილად არ ჰქონდა. აღნიშნა, რომ მათი მხარდაჭერის იმედი აქვს ხარისხის კონტროლის ნაწილში, შეფასების ნაწილში და ყველა იმ მეთოდოლოგიურ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია პროგრამის ხარისხიანად განხორციელებისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ დააფიქსირა, რომ უკვე არაერთი შემთხვევაა, რომ ქალბატონი ია ერაძე და მისი კოლეჯი ბიზნესის წარმომადგენლებს ასე უშუალოდ ეხმარებიან, რაც უადვილებთ ფორმალურ განათლებაში შემოსვლას. ამისთვის დიდი მადლობა გადაუხადა და იკითხა ამ პროგრამის დისტანციურად სწავლება თუ იყო შესაძლებელი.

ქალბატონმა ია ერაძემ უპასუხა, რომ შესაძლებელია ამ პროგრამის დისტანციურად განხორციელება და გაუზიარა საბჭოს გამოცდილება დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით. მან თქვა, რომ მათ დაწესებულებას დღეს აქვს ძალიან გამართული დისტანციური სასწავლო პროცესი და მოუწოდებს სხვა კოლეჯებსაც, ისარგებლონ, რადგან, მართალია სულ სხვაა ინტერაქტიული და საკლასო მუშაობა, მაგრამ ესეც ძალიან მნიშვნელოვანია და შესაძლებელია, მოცემულობიდან გამომდინარე. აქვე, აღნიშნა Microsoft-ის საქართველოს წარმომადგენლობის დიდი წვლილი, ვინაიდან მათ უკვე შეძლეს თეორიული ტესტირება Office 365 საშუალებით და შემდეგ პრაქტიკულ კურსს გაივლიან ნებისმიერ კომპანიაში და დასაქმების უდიდესი შესაძლებლობა აქვთ.

ნათია კვიციანის კითხვა ეხებოდა, რამდენად შეეხო კოვიდი მარკეტინგის სფეროს და რა პროგნოზი აქვთ, მოთხოვნა რამდენად არის. გიორგი კუჭუხიძემ აღნიშნა, რომ ზოგადად, გაყიდვები შემცირებულია, მაგრამ მათთან კარგი სპეციალისტების გამო, გაყიდვების მაჩვენებელი გასამშავდა და ასეთი ადამიანების ყოლის საჭიროება ბიზნესმა უფრო დაინახა დღეს, კოვიდის პირობებში.

ია ერაძემ დაამატა, რომ ასეთი პროფესიონალების არსებობა დღეს უფრო მნიშვნელოვანია, რადგან სოციალური რეკლამა, სწორი გაყიდვა გახდა ძალიან მნიშვნელოვანი. ამიტომ, ის ფიქრობს, რომ ეს პროგრამა, როგორც სხვა მოკლევადიანი პროგრამები, ძალიან კარგად იმუშავებს და ბევრი მსურველი ეყოლება, ვიდრე ორი წლის წინ.

ქრისტინე მეფარიშვილი გამოეხმაურა ნათია კვიციანს და დაამატა, რომ ზუსტად ორი დღის წინ მას ონლაინ შეხვედრა ჰქონდა სტუდენტებთან და გერმანელ პარტნიორთან, ცვლილებებთან დაკავშირებით და იქ გამოიკვეთა, რომ ზუსტად ეხლა უფრო მოიმატებს ადამიანური რესურსების და მარკეტინგული მიმართულებით მოთხოვნა, ვინაიდან ყველაფერი გაციფრულდა და ტექნოლოგიებთან მარკეტინგი არის აქტუალური. პირდაპირ ასეთი რეკომენდაცია მიეცათ მათი პარტნიორიდან და კოლეგიდან, რომ მომავალ წელს ბიზნესში უფრო წინა პლანზე წამოვა ეს ორი პროფესია.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს „ევროპის ბიზნეს სკოლა და კონსალტინგისთვის“ - „მარკეტინგისა და გაყიდვების სპეციალისტი - მარკეტერი“ /00847/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

### **კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე:** 9

**წინააღმდეგი:** 0

### **გადაწყვეტილება:**

დაწესებულების მიერ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად,

შპს „ევროპის ბიზნეს სკოლა და კონსალტინგს (ს/კ: 404569926) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - მარკეტინგისა და გაყიდვების სპეციალისტი - მარკეტერი /00847 (დანართი 2).

**3. ა(ა)იპ კრაფტ დრინქს სქულ რირავოსთვის - „ხელნაკეთი ალკოჰოლური სასმელების წარმოების“ /00829/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.**

საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.



ლანა გაჩეჩილაძემ შესავლის სახით აღნიშნა, რომ დაწესებულებამ გამოიყენა ხარვეზის გამოსასწორებლად საბჭოს მიერ განსაზღვრული ვადა და ორგანიზაციამ წარმოადგინა განახლებული პროგრამა და შედეგებს ექსპერტი თეა მახათელაშვილი წარმოადგენდა.

ექსპერტმა თქვა, რომ საბჭომ ა(ა)იპ „კრაფტ დრინქს სქულ რირავოს“ განუსაზღვრა ერთთვიანი ვადა პროგრამასთან დაკავშირებული ხარვეზის გამოსასწორებლად. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 17 ნოემბრის N 1100205 ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარ სპეციალისტთან ლანა გაჩეჩილაძესთან ერთად შეისწავლა განახლებული პროგრამის განაცხადი დისტანციურად და 2020 წლის 27 ნოემბერს განახორციელეს კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ა(ა)იპ „კრაფტ დრინქს სქულ რირავოს“ დირექტორთან გასაუბრება. გასაუბრების მიზანს წარმოადგენდა პროფესიული გადამზადების პროგრამის „ხელნაკეთი ალკოჰოლური სასმელების წარმოება“ განხორციელების უფლების მოპოვებისთვის პირველი სტანდარტის შესაბამისობის შემოწმება. თეა მახათელაშვილმა საბჭოზე წარმოადგინა დისტანციური ვიზიტის შედეგები. პროგრამის სახეა - გადამზადება, კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობა - 6 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა მოთხოვნილი რაოდენობა - 15, პროგრამის განხორციელების ადგილი - საგურამო, ილიას უბანი, მცხეთის მუნიციპალიტეტი.

ექსპერტმა განმარტა, რომ წინა საბჭოს დროს დიდი მსჯელობა იყო იმასთან დაკავშირებით, რომ პროგრამა მოიცავდა ძალიან ბევრ საკითხებს, იყო ძალიან წვრილად ჩაშლილი და ფაქტიურად 4 კვირაში, ყველაფრის მიღწევა ჩაითვალა შეუძლებლად. ასევე, შედეგებთან მიმართებით, საკითხები იყო ქაოტურად, პირველ შედეგზე ორიენტირებული საკითხი ვერ დაზუსტდა, ეს იყო ტექნიკური ხარვეზი თუ შეცდომა, ყოველ შემთხვევაში მიეცათ რეკომენდაცია, გასწორებულიყო პროგრამული ხარვეზები და წარმოდგენილი იქნა განახლებული, დაკორექტირებული პროგრამა, სადაც 4 კვირა გაზრდილია 6 კვირამდე, თემები არის წარმოდგენილი გამსხვილებით და კომპაქტურად და მიღწევადია ამ ვადაში და ამ თანმიმდევრობით, შესაბამის შედეგებზე გასვლა არის ადეკვატური და მიაჩნია, რომ პირველ ეტაპზე დაფიქსირებული ხარვეზი სრულად იქნა გამოსწორებული.

**ქვესტანდარტი 1.1** პროფესიული გადამზადების პროგრამა „ხელნაკეთი ალკოჰოლური სასმელების წარმოება“ ეფუძნება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დასაქმების / მეწარმეობის / პიროვნული განვითარების პერსპექტივებს. ორგანიზაციას გაწერილი აქვს დოკუმენტი-„დასაბუთება პროგრამის განხორციელების საჭიროების შესახებ“, სადაც არგუმენტირებულად აღწერს ამ მიმართულებით საკუთარ გამოცდილებას და ადასტურებს აღნიშნული პროგრამის აქტუალობას, არსებულ მოთხოვნებსა და საჭიროებებს.

**ქვესტანდარტი 1.2** პროგრამის სახელწოდება სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსს. „ხელნაკეთი ალკოჰოლური სასმელების წარმოება“ პროგრამაში განსაზღვრულია ზუსტად წარმოების ტექნოლოგიის სწავლის შედეგები და თემატიკა.

**ქვესტანდარტი 1.3** პროფესიული გადამზადების პროგრამის „ხელნაკეთი ალკოჰოლური სასმელების წარმოება“ მიზანია: მაგარი ალკოჰოლური სასმელების წარმოების სფეროში-ხელნაკეთი (შინნახადი) სასმელების წარმოების დარგში კვალიფიციური კადრების მიწოდება შრომის ბაზრისთვის, პროფესიული განათლების საერთაშორისო გამოცდილების, ეროვნული ტრადიციებისა და თავისებურებების გათვალისწინებით. ამ კონკრეტულ მიმართულებაში კონკურენტუნარიანობის გაზრდა მაღალხარისხიანი პროდუქციის მიღებისათვის. პროფესიული გადამზადების პროგრამა ხელს შეუწყობს მცირე და საოჯახო საწარმოების განვითარებას ქვეყანაში, რომელიც აწარმოებს საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამის სასმელს, რაც თავის მხრივ გაზრდის დასაქმებულთა და თვითდასაქმებულთა რაოდენობას რეგიონებში, სხვა თანმდევ სასიკეთო პროცესებთან ერთად (გამოხდისათვის

საჭირო ნედლეულის მოყვანა-მიწოდება, გაყიდვა ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე და სხვ.). პროგრამის მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.

**ქვესტანდარტი 1.4** პროგრამაში წარმოდგენილია დაშვების წინაპირობა:

პროფესიული ან უმაღლესი განათლება სასმელებისა და/ან სასურსათო პროდუქტების წარმოების სფეროში; (კვალიფიკაცია პროგრამის შესაბამის დარგში 07 - ინჟინერია, წარმოება და მშენებლობა; კვალიფიკაცია პროგრამის შესაბამის სფეროში 07 - ინჟინერია, წარმოება და მშენებლობა; ძველი კლასიფიკატორით განსაზღვრული კვალიფიკაცია 0104 - სასურსათო ტექნოლოგია);

ან სამუშაო გამოცდილება: სასმელებისა და/ან სასურსათო პროდუქტების წარმოების მიმართულებით - 1 წელი(სრული ზოგადი განათლება);

ორგანიზაციას ასევე შემუშავებული აქვს დოკუმენტი - „პროფესიული მომზადების / პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მსმენელის შერჩევის, ჩარიცხვისა და სასწავლო პროცესის მართვის წესი“, სადაც აღწერილი აქვს ის მექანიზმები და პროცედურები, რომლის მიხედვითაც უზრუნველყოფს მოთხოვნილი დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით მსმენელთა შერჩევას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია და უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში.

**ქვესტანდარტი 1.5** პროგრამა „ხელნაკეთი ალკოჰოლური სასმელების წარმოება“ განსაზღვრული სწავლის შედეგებით შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-4 დონეს.

**ქვესტანდარტი 1.6** წარმოდგენილი პროფესიული გადამზადების პროგრამა ითვალისწინებს სწავლის 4 შედეგის მიღწევას: 1. ნაყენების დამზადება მაგარი ალკოჰოლური სასმელებისათვის; 2. სპირტის წარმოება; 3. ხელნაკეთი მაგარი ალკოჰოლური სასმელების: ვისკი, არაყი, ბრენდი და ლიქიორული სასმელების წარმოება; 4. ხელნაკეთი მაგარი ალკოჰოლური სასმელების წარმოება ხილისაგან. მოცემული სწავლის ოთხივე შედეგი მსმენელს აძლევს საქმიანობის სფეროს შესაბამის თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ უნარებს, ანუ ოთხივე შედეგი გათვლილია თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარების კომპეტენციაზე და შედეგებზე.

**ქვესტანდარტი 1.7** პროგრამის ხანგრძლივობა გაიზარდა 6 კვირამდე, კვირეული საშუალო დატვირთვა - 16 საათი, სულ 96 საათი. დაწესებულებამ გაითვალისწინა წინა დასკვნაში წარმოდგენილი რეკომენდაციები და წარმოადგინა გადამზადების განახლებული პროგრამა დაკორექტირებული გაზრდილი ხანგრძლივობით, მოცულობით (სასწავლო თემების გამსხვილება) და მსმენელის სასწავლო დატვირთვით, შესაბამისად მიღწეულია პროგრამის მოცულობისა და ხანგრძლივობის შედეგებთან ადეკვატურობა.

**ქვესტანდარტი 1.8** სასწავლო პროცესში გამოყენებულია შემდეგი სწავლების მეთოდები: ლექცია; ლექცია პრობლემის დასმით; დისკუსია; დემონსტრირება; პრაქტიკული სავარჯიშო; ექსპერიმენტი; შემთხვევის ანალიზი. სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, სწავლების თანამედროვე მიდგომებითა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით რომლებიც ხელს უწყობს სწავლების შედეგებზე გასვლას, მსმენელებს შესაძლებლობა აქვთ მოისმინონ თეორიული და პრაქტიკული კურსი. აქვე შენიშნა, რომ მსმენელებს მიეწოდებათ ქართულენოვანი სახელმძღვანელოები, რომელიც მოიცავს (ფარავს) სრულად საპროგრამო მასალას.

**ქვესტანდარტი 1.9** პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას. პროგრამის ფარგლებში დაწესებულება პრაქტიკულ სწავლებას ახორციელებს პარტნიორი ორგანიზაციის, შპს „ქართული ლეგენდას“ მიერ გამოყოფილ ფართში, საწარმოში, სადაც მუდმივად მიმდინარეობს პრაქტიკულად საწარმოო პროცესი, აღჭურვილია ყველა მოწყობილობითა და აუცილებელი ხელსაწყოთი. ბაზა მზადაა მიიღოს აღნიშნული პროგრამის

მსმენელები მითითებულ ტექნოლოგიურ პროცესებში მონაწილეობის მისაღებად. მონაწილეებს შესაძლებლობა ექნებათ დააკვირდნენ, ადგილზე გაეცნონ და მოსინჯონ პრაქტიკული ნაბიჯები, განახორციელონ ცალკეული ტექნოლოგიური პროცესები, გაეცნონ საწარმოს ორგანიზებას, აღჭურვილობის განლაგებას და სხვა დეტალებს.

**ქვესტანდარტი 1.10** გადამზადების პროგრამის „ხელნაკეთი ალკოჰოლური სასმელების წარმოება“ ფარგლებში მსმენელთა შეფასება განხორციელდება: სწავლის პროცესში განმავითარებელი შეფასებით, სწავლის შედეგის დასრულებისას - განმსაზღვრელი შეფასებით. პროგრამა მსმენელის მიერ ჩაითვლება წარმატებით გავლილად, თუ იგი დაადასტურებს სწავლის ოთხივე შედეგს. განმსაზღვრელი შეფასება მოხდება ორი ტიპის შეფასებით: სწავლის შედეგი დადასტურდა; სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

თეორიული ცოდნის შეფასებისათვის გამოიყენება გამოკითხვა წერილობით: ტესტი სხვადასხვა ტიპის კითხვებით, სავალდებულოა 80% დადასტურება; პრაქტიკული დავალების შეფასების კრიტერიუმები გაწერილია პრაქტიკული დავალების კითხვარში (ჩეკ-ლისტი, სავალდებულოა 100 % -იანი დადასტურება).

**ხარვეზი** არ გამოვლენილა, იყო ტექნიკური უზუსტობა, კერძოდ: 1.10 ქვესტანდარტი - რეკომენდირებულია გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა და პროგრამის მესამე კვირაში და მიეთითოს მეორე სწავლის შედეგის შეფასების მეთოდი.

ნანი დალაქიშვილი დაინტერესდა თუ როდის მიეცათ ეს რეკომენდაცია, რაზედაც ექსპერტმა უპასუხა, რომ განმეორებითი შეფასების დროს იქნა გაცემული ეს რეკომენდაცია. პროგრამაში, მესამე კვირაში გათვალისწინებულია მეორე სწავლის შედეგი - სპირტის წარმოება. აღნიშნულ კვირაში მითითებული არ არის შეფასების მეთოდი. დაწესებულების დირექტორის განმარტებით, შეფასების მეთოდი ტექნიკურად გამორჩენილია.

შემდეგ ექსპერტმა საბჭოზე წარმოადგინა ფოტოები.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს. გიორგი თევზაძემ აღნიშნა, რომ მოხარულია, მიუხედავად იმ მოცემულობისა, რაც ქვეყანაში და მსოფლიოშია, სასწავლო პროცესები მაინც გრძელდება. მან ასევე დაამატა, რომ ალკოჰოლურ სასმელებზე მოთხოვნა გაზრდილია, ზოგიერთ კომპანიაში 100 და 200 პროცენტით, ეს სასიხარულოა, რადგან ეს არ არის მარტო ერთი კომპანიის გამარჯვება და სიხარული, უამრავი ადამიანია ამ სფეროში დასაქმებული და შესაბამისად, მოტივაციას აძლევს მათაც. მოთხოვნა დიდია სწავლებისადმი, მეტი ცოდნა და ხარისხია საჭირო, რაც მიღწევადია. მან მადლობა გადაუხადა ექსპერტებს.

ნიკოლოზ მესხიშვილმა კომპლიმენტის სახით შენიშნა, რომ მას უხარია, კერძო სექტორის ჩართვა განათლებაში. დაინტერესდა, როგორც კერძო სექტორის წარმომადგენელი, რას გაუზიარებდა ორგანიზაცია კერძო სექტორის სხვა წარმომადგენლებს, როგორც კარგ მაგალითს, რაზედაც გიორგი თევზაძემ უპასუხა, პირველი, რასაც სხვას ეტყოდა და გაუზიარებდა, ეს არის გუნდური პრინციპი კოლეგებთან ერთად და დაუღალავი შრომა.

საბჭოს წევრებს კითხვები აღარ ჰქონდათ და საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ კრაფტ დრინქს სქულ რირავოსთვის - „ხელნაკეთი ალკოჰოლური სასმელების წარმოების“ /00829/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე:** 9

წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:**


დაწესებულების მიერ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ კრაფტ დრინქს სქულ რირავოს (ს/კ: 404585702) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - „ხელნაკეთი ალკოჰოლური სასმელების წარმოება“ /00829 (დანართი 3).

საბჭოს სხდომა 19:15 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
პროფესიული მომზადების  
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების  
მიმნიჭებელი საბჭო  
საბჭოს თავმჯდომარე  
ქუჩულორია მარიამ



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
პროფესიული მომზადების  
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების  
მიმნიჭებელი საბჭო  
საბჭოს მდივანი  
გამყრელიძე გიორგი



დანართი 1

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
00942	ჟოლოსა და უეკლო მაყვლის წარმოება	პროფესიული მომზადება	მესამე	12	ქართული	30	საგარეჯოს რაიონი, ს. ნინოწმინდა

დანართი 2

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
00847	მარკეტინგის და გაყიდვების სპეციალისტი - მარკეტერი	პროფესიული გადამზადება	მეხუთე	12	ქართული	25	თბილისი, რუსთავის გზატკეცილი 18/22

დანართი 3

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
00829	ხელნაკეთი ალკოჰოლური სასმელების წარმოება	პროფესიული გადამზადება	მეოთხე	6	ქართული	15	მცხეთის მუნიციპალიტეტი, საგურამო, ილიას უბანი